

- აბასთუმანი

**აბასთუმანში ასტროფიზიკური ობსერვატორიის რეაბილიტაცია - მიმდინარე**

დონორი - მსოფლიო ბანკი  
დაწყება - 2018 ივნისი  
დასრულება - 2019 სექტემბერი  
ღირებულება - 3,783,787.37 ლარი  
კონტრაქტორი - ე/ს შპს "ABEKA" და შპს "პალადა"

პროექტის აღწერა - პროექტი მოიცავს დიდი ტელესკოპის AZT-11-ის შენობის სრულ რეაბილიტაციას, სადაც განთავსდება ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრი, კაფე, საპირფარეშოები, მოეწყობა საგამოფენო და სამუშაო სივრცე და აღდგება არსებული ბიბლიოთეკა. პროექტის ფარგლებში, ასევე გათვალისწინებულია მთავარი საპროექტო შენობის მიმდებარედ, დასახლების ცენტრალური ტერიტორიის კეთილმოწყობა, საბაგრო გზის აღდგენა, საერთო სარგებლობის საპირფარეშოებისა და პარკინგის მოწყობა.

**აბასთუმნის ისტორიული ხის სახლების რეაბილიტაცია - მიმდინარე**

დონორი - მსოფლიო ბანკი  
დაწყება - 2018 მარტი  
დასრულება - 2019 სექტემბერი  
ღირებულება - 4,143,728.56 ლარი  
კონტრაქტორი - ე/ს სს "ერისიმედი" და შპს "კამრო"

პროექტის აღწერა - პროექტით განსაზღვრულია დაბა აბასთუმნის, რუსთაველის ქუჩის ცენტრალურ ნაწილში განთავსებული შერჩეული 18 ისტორიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია. კერძოდ, N56, 58, 62, 64, 66, 68, 70, 72, 76, 78, 80, 84-86, 94, 96, 98, 100, 102, 104 სახლების ისტორიული იერსახის აღდგენა.

**აბასთუმნის ურბანული განახლების პროექტი - დაგეგმილი**

დონორი - მსოფლიო ბანკი  
დაწყება - 2020  
დასრულება - 2021  
ღირებულება - თანხა დაზუსტდება პროექტირების დასრულების შემდგომ

პროექტის აღწერა - პროექტის მთავარი მიზანია კურორტის ტურიზმის საერთაშორისო სტანდარტებთან ადაპტირება და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შენარჩუნება. აღნიშნული გულისხმობს პარკების, საფეხმავლო ბილიკების, ავტოსადგომების, განათების, ურნების, მოსასვენებელი ადგილების და მათთან უსაფრთხო მისასვლელების მოწყობას; საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, ადგილობრივი გზების, ისტორიული მნიშვნელობის მქონე დამატებითი სახლების რეაბილიტაციას. პროექტი ასევე მოიცავს ტურისტული ნაკადის დარეგულირების მიზნით, განახლებული მარშრუტების შემუშავებას, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება საზ. ტრანსპორტის გაჩერებები და მოძრაობის მარეგულირებელი ნიშნები.

**აბასთუმნის ურბანული განახლების პროექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა - მიმდინარე**

დონორი - მსოფლიო ბანკი  
დაწყება - 2018 დეკემბერი  
დასრულება - 2019 დეკემბერი  
ღირებულება - 3,000,000 ლარი

პროექტის აღწერა - პროექტის მთავარი მიზანია კურორტი აბასთუმნის ურბანული განახლების პროექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა.

**დაბა აბასთუმნის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის შედგენის დოკუმენტის მომზადება - მიმდინარე**

დონორი - სახელმწიფო ბიუჯეტი  
დაწყება - 2018 სექტემბერი  
დასრულება - 2020 მარტი  
ღირებულება - 280 840,00 ლარი

კონტრაქტორი: შპს "გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი"

პროექტის აღწერა - პროექტის მიზანია დაბა აბასთუმნის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის დოკუმენტის მომზადება.

**• გუდაური**

**კობი-გუდაურის საბაგიროს დიზაინი და მშენებლობა - მიმდინარე**

დაწყება - 2017 ნოემბერი  
დასრულება - 2018 დეკემბერი.  
ღირებულება - 80 930 728.28 ლარი.  
კონტრაქტორი - შპს „ფერი“.

პროექტის აღწერა - პროექტის ფარგლებში დაგეგმილია კობი - გუდაურის უღელტეხილზე დამონტაჟდეს სამი გონდოლებიანი საბაგირო გზა საერთო სიგრძით 7096 მ ( საბაგირო #9; #10; #11, რომლებიც მოიცავს 6 სადგურს (G1-G6)).

**გუდაურში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა - დაგეგმილი**

დონორი - მსოფლიო ბანკი  
დაწყება - 2019 ივნისი

დასრულება - 2020 ივნისი  
ღირებულება - 8 000 000 ლარი

პროექტის აღწერა - პროექტი ითვალისწინებს ახალ გუდაურში (სასტუმრო კარპე დიემი - ს მიმდებარედ) 2 დონიანი ავტო პარკინგის მოწყობას 380 ავტომობილზე, ასევე ტურისტული სივრცეების მოწყობას (ბილეთების გაყიდვა, სათხილამურო ატრიბუტიკის ყიდვა-გაქირავება, საპირფარეშოები, გასახდელეები, ჩამკეტები) და მისასვლელი გზის რეაბილიტაციას.

### გუდაურში ავტოსადგომის (სეთურები) პროექტირება და მშენებლობა - დაგეგმილი

დონორი - სახელმწიფო ბიუჯეტი  
დაწყება - 2020

დასრულება - 2021 ივნისი

პროექტის აღწერა - პროექტი გაითვალისწინებს 1 დონიანი პარკინგის და მრავალ ფუნქციური შენობის მოწყობას, რომლებიც ინტეგრირებულნი იქნებიან გუდაურის საბაგირო გამშვებ ხაზთან.

### • ბაკურიანი

### მიტარბის საბაგირომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და დიდველზე პარკინგის გაფართოება - მიმდინარე

დონორი - სახელმწიფო ბიუჯეტი  
დაწყება - 2018 ნოემბერი  
დასრულება - 2020 თებერვალი  
ღირებულება - 4,796,160.00 ლარი  
კონტრაქტორი - ამხანაგობა "გ და კ რეზილდი"

პროექტის აღწერა - პროექტი მოიცავს მიტარბის და კოხტას საბაგიროებამდე მისასვლელი 2.7 კილომეტრი გზის რეაბილიტაციას, ბეტონის საფარით. ამასთან, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია დიდველზე პარკინგის მოწყობისა და გაფართოების სამუშაოები. პარკინგის მიმდებარედ აშენდება ადმინისტრაციული შენობა, სადაც განთავსდება თხილამურების გასაქირავებელი პუნქტი, დაცვის ოთახი, სამაშველო ოთახი, სალარო, სათხილამურო აღჭურვილობის შესანახი კარადები, კაფე, საწყობი და საპირფარეშოები, მათ შორის 2 შშმ პირებისათვის.

### ბაკურიანის ცენტრალური ბილიკის მოწყობა (ფაზა 2) - დაგეგმილი

დონორი - სახელმწიფო ბიუჯეტი  
დაწყება - 2019  
დასრულება - 2019

ღირებულება - 758,321.00 ლარი

პროექტის აღწერა - საპროექტო ტერიტორია, რომლის სიგრძე 2700 მეტრს შეადგენს, მდებარეობს დაბა ბაკურიანის ცენტრალურ ნაწილში, წრიული სამანქანო გზის მიმდებარედ. პროექტი ითვალისწინებს 2-2,5 მეტრის სიგანის საფეხმავლო გზის, სანიაღვრე კოლექტორების, განათების, ხელოვნური ნაგებობების, სანაგვე ურნებისა და ზღუდარების მოწყობას.

### ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება ბაკურიანის რეკრეაციულ პარკში—დაგეგმილი

დონორი - მსოფლიო ბანკი

დაწყება - 2020

დასრულება - 2021

სავარაუდო ღირებულება - 3,000,000.00 ლარი

პროექტის აღწერა - პროექტი მოიცავს როგორც პარკის ტერიტორიის კეთილმოწყობას, ასევე პარკთან არსებული ობიექტების რეაბილიტაციას. პროექტი ითვალისწინებს ტერიტორიის შემოღობვას, ღია ავტოსადგომის მოწყობას, მსუბუქი სწრაფი კვების ობიექტების განთავსებას, ცენტრალური პარკის დაგეგმარებას, ბავშვთა სათამაშო მოედნების, საპირფარეშოების, კომერციული ზონების, პარკის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და საინფორმაციო დაფების მოწყობას.

### ბაკურიანი-ანდეზიტი-ციხისჯვარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია – მიმდინარე

დონორი - მსოფლიო ბანკი

დაწყება - 2017 ნოემბერი

დასრულება - 2018 დეკემბერი

ღირებულება - 2,691,372.55 ლარი

კონტრაქტორი: შპს "ჰედეფ ჯორჯია"

პროექტის აღწერა - პროექტი ითვალისწინებს დაბა ბაკურიანიდან სოფ. ანდეზიტამდე (სიგრძით 3 900 მ) და სოფ. ანდეზიტიდან სოფ. ციხისჯვარამდე (სიგრძით 3 600 მ) გზის რეაბილიტაციას (საერთო სიგრძით 7 500 მ) ორფენიანი (6+4) ა/ბეტონის საფარით. პროექტის ფარგლებში, ასევე მოეწყობა წყალამრიდი მილები, მიერთებები და ეზოში შესასვლელიები.

### ბაკურიანის შემოვლითი გზის პროექტირება და მშენებლობა - მიმდინარე

დონორი - ევროპის საინვესტიციო ბანკი

დაწყება - 2018 ივნისი

დასრულება - 2019 მარტი

ღირებულება - 6 354 211 ლარი

კონტრაქტორი - შპს „გ&კ ტექნოლოგი“ და შპს „დაგი“

პროექტის აღწერა - პროექტის მიზანია დაბა ბაკურიანის შემოვლითი ახალი გზის პროექტირება და მშენებლობა. არსებული საავტომობილო გზა რომელიც გადის ბაკურიანის დასახლების ცენტრზე, თავის

დროზე არ იყო აშენებული საგზაო მოძრაობის ახლანდელი ინტენსივობის გათვალისწინებით. შესაბამისად ხშირია საგზაო მოძრაობის შეფერხება და უარყოფითი ზემოქმედება საცხოვრებელ პირობებზე და მოძრაობის უსაფრთხოებაზე. პროექტის ფარგლებში შემოთავაზებული საგზაო მიმართულება ბაკურიანის დასახლებამდე გადაუხვევს არსებული გზიდან დასავლეთით და დაუერთდება ბაკურიანი-ანდეზიტ-ციხისჯვარის გზას. შემოვლითი გზის მიახლოებითი სიგრძეა 2,366 მ. რომლის მიმართულება გადის ტყიან მასივში. პროექტის დასრულების შემდეგ, ახალი გზით ისარგებლებს ადგილობრივი მოსახლეობა (დაახლოებით 1,900) და ტურისტები. პროექტის განხორციელება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს.

### **ბაკურიანში ახალი პოლიციის შენობის მშენებლობა - მიმდინარე**

დონორი - სახელმწიფო ბიუჯეტი  
დაწყება - 2018 ივლისი  
დასრულება - 2019 ივლისი  
ღირებულება - 1 777 792 ლარი  
კონტრაქტორი: შპს აიდურგეო

პროექტის აღწერა - პროექტი მომზადებულია შსს-ს მიერ და ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოებისთვის გამოყოფილ მიწაზე არსებული კონსტრუქციის დემონტაჟს და პოლიციის ახალი შენობის აშენებას, დამხმარე სათავსოების აშენებას, ჭაბურღილის მოწყობას, ტერიტორიის შემოღობვას და კეთილმოწყობას (პარკირებისა და გამწვანების მოწყობა, განათება).

### **ბაკურიანში მრავალ ფუნქციური ყინულის მოედნის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და კონცეპტუალური პროექტის მოსამზადებლად შესაბამისი მომსახურების შესყიდვა - მიმდინარე**

დონორი - სახელმწიფო ბიუჯეტი  
დაწყება - 2017 დეკემბერი  
დასრულება - 2018 დეკემბერი  
ღირებულება - 526 316.34 ლარი  
კონტრაქტორი: შპს "WESTINCOR"

პროექტის აღწერა - პროექტი ითვალისწინებს მრავალ ფუნქციური ყინულის მოედნის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და კონცეპტუალური პროექტის მომზადებას.

### **ჭიათურის საბაგიროები**

**ჭიათურის მუნიციპალიტეტში არსებული ძველი საბაგირო სადგურებისა და საბაგირო-სატრანსპორტო სისტემების სადემონტაჟო სამუშაოებისა და ახალი რევერსიული გონდოლებიანი საბაგიროს სამონტაჟო და შესაბამისი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოები - მიმდინარე**

სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს შპს "დაგი-სკი"

პროექტის ღირებულება 7 877 098,95 ლარი.

პროექტი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში

სამშენებლო სამუშაოების დაწყება 24.06.2016

სამშენებლო სამუშაოების დასრულება 15.12.2018

პროექტი მიზნად ისახავს საბაგრო ხაზების აღდგენას და სატრანსპორტო ჰაბის მოწყობას ქალაქის ცენტრში.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ ჭიათურაში აშენდეს 3 რევერსული ტიპის გონდოლებიანი საბაგრო გზა:

პირველი მიმართულება: სანატორიუმი - 862 მეტრი

მეორე მიმართულება: ნაგუთი - 1081 მეტრი

მესამე მიმართულება: ლეჟუბანი - 845 მეტრი

**ჭიათურის მუნიციპალიტეტში, მუხადის ხაზის საბაგრო გზის რეაბილიტაცია: ხაზი 4 (მუხადე) - მიმდინარე**

სამუშაოებს ახორციელებს ამხანაგობა "დაგი სოლუმენს"

პროექტის ღირებულება 2869977,78 ლარი.

პროექტი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში

სამშენებლო სამუშაოების დაწყება 29.06.2017

სამშენებლო სამუშაოების დასრულება 29.04.2019

პროექტი მიზნად ისახავს საბაგრო ხაზების აღდგენას და სატრანსპორტო ჰაბის მოწყობას ქალაქის ცენტრში.

პროექტის ფარგლებში ეწყობა მუხადის ხაზის მიმართულებით რევერსული ტიპის გონდოლებიანი საბაგრო გზა სიგრძით 640 მეტრი.